



სიკვდილ სჯობს სახელიანი, — იტყოდა ამირანი.
კიდევ უთხრა ბადრს:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, მე შემიკაზმე შენ ცხენი,
უსიპის მუზარადისა აღარ ამოდის ნაყლერი.

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძმის სისხლის საძებრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს:

— შენი აბჯარი მე მომეცი, მე ჩავალ საომრადაო.

— რას ამბობ, — გაუჯავრდა ამირანი, — რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალო.
— მაშ თუ ჩახვალო, — უთხრა ყამარმა, — არ დაიშლით, ეს მაინც აისრულე: ომიდან რომ გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმალამოღებული მოდიო. ყამარი ერთ მთაზე დატოვა და ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებივით თავები, გაწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. ხცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთარი ეცვა, ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა. ყამარის მამის ხმალი ამირანის ფარს რომ მოხვდებოდა, რკინა გველივით წიოდა. უცქეროდა ყამარი დიდხანს ამირანის და მამის ბრძოლას, ხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა. შეუშფოთდა გული და დაუძახა ამირანს:

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო, ოში ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა,
დაწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა,
ბოძნი რომ დაეჭრებიან, დარბაზნი დაეცემიან!

გაიგონა ყამარის სიტყვები ყამარის მამამ, გული აემღვრა და დაუძახა ყამარს:

— ნეტამც შობამდე გახწყალებოდი მუცელში დედაშენსო.



უყურეთ, ბრიყვსა ქალსა, ქმარი ირჩია მამასა!

ქმარი ხეს ასხა ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწყალსა?
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწუებდა ძუძუსა, გირწევდა აკვანასა?

ყამარმა უპასუხა:

არცრა გამზარდა დედამა, არცრა მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის ყურეში, თაგვების ანაბარასა...
არცარა მათირებდიდით, არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსომდით, დავაწყვებულსა მღირებდოდით დანასა!

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოკლა სიმამრიც და გამარჯვებული მიდიოდა ყამართან. წინ ერთი დაჭრილი ქაჯი შეხვდა, ნახა ხმალამოღებული ამირანი და უთხრა:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო,
გაწყვიტე ცოლეურები, ვინ გითხრა ბარაქალაო.

შენ რომ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი, ძმებს მოსძებნიდიო. მოაგონდა უსიპის სიტყვა ამირანს:

შენის ცოლისა გულისთვის სულ ძმები დაეღლენითო.

დაავიწყდა ყამარიც, თავისი თავიც და გამარჯვებაც. გულში მარტო ძმების საგონარი ჰქონდა. — მაშ თქვენი ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვეთ, მკვდრები იქნებით თუ ცოცხლები, — გაივლო გულში ამირანმა, — ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები — და მეც თქვენთან გავთხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო! გავიდა მკვდრებით მოფენილ ველზე ძმების საძებნელად. თვალგადაუწვდენელი მინდორი დახოცილებით იყო შერთული და შეფარული, ყვავი და ყორანი დასცემოდა მკვდრებს; ცალკე ნადირნი ხარობდნენ და ცალკე — ცის ფრინველნი; სისხლი რუებად მიდიოდა, ეძებდა ამირანი თავის დახოცილ ძმებს მკვდართა შორის, ეძებდა, მაგრამ ამოდენა მკვდრებში ვერც ადვილად როგორ იპოვიდა, ბოლოს, როგორც იყო, იპოვა მკვდარი უსიპი,





აიყვანა ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. იპოვა ბადრიც. ისიც მკვდარი, დაიწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თვითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა ძმებს: ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოვალ! და დაიცა გულში თავისი მოკლე ხმალი; უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა. ამირანი არ მოკვდებოდა თუ ნეკა თითს არ მოიჭრიდა. დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი: სიკვდილიც აღარ მელირსა თქვენთან, ღმერთი სიკვდილსაც კი მიშურებს ჩემთვისაო. ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარ ქაჯს:
— აღე, აღე, რა ვიხილე! ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდაო. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ არა სცოდნია, როგორ მოკვდება, მაგან რომ ნეკა თითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო. თქვა ეს მკვდარმა ქაჯმა, მიდო თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი. ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკა თითი. უდინა სისხლმა და მიწვა ისიც ძმებთან:

ყამარო, დამსხენ ძუძუნი, მენც ჩემთან დამთმე თავიო,
ცოცხალსა სიარსამულსა მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

ცხრათა ფრინველთა მწარეგძელთა ალგეთის ჭალა გაექნა,
უქმისა, უმამიძმოსა ამირანს თავი მოეკლა.

მოეყარდა ყამარიც ცრემლის ღვრით, დასტირა და დაჰგლოვა ამირანს, მაგრამ ვინ იყო მისი მშველი. ზის და ტირის ყამარი, იმისი ცრემლები ზღვას ერთვის, იმისი ცოდვით ხევებს ფოთლები სცვივა. ღმერთმა ზეციდან თეთრი ჯვარ-ყორნები გამოგზავნა, გამიგეთ მიწაზე რა ხდებაო, ჯვარ-ყორნები ლეშით გაძღნენ და ღმერთს უთხრეს: გუთანი დგასო. ღმერთმა მათ მუგუზალი ესროლა და გაამავა. მაშინ მტრედი გამოგზავნა, მტრედმა უთხრა: ერთი მშვენიერი მზეთუნახავი ქაბუკებს დასტირისო და სისხლიანი ფეხები უჩვენა. ღმერთმა მაშინ თაგვი გამოგზავნა მას







სამშველად. თაგვი დაიწყებს ამირანის სისხლის ლოკვას, მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდან, დაჰკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე მოვარდება იმისი დედა და დაუწყებს ჩხუბსა და ლანძღვას ყამარს: — შე კაპპავ, შენა, შენი გულისათვის შენი მამა მოკვდა, შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები. ამდენი ჯარი გაწყდა და შენ კი არ შეგრცხვაო. იქნება ესა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ — შენი მამა და ქმარ-მაზლები. ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენ მკვდარს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო. ესა თქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში ცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, მოიტანა, წაუსვა ამირანს და გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშვნიტა თვალები და თქვა: — ოჰ, რა ბევრი მძინებიაო, — ბევრი მაშინ გეძინებოდა, — უთხრა ყამარმა, — რომ თაგვი არ გამოგვჩენოდაო. მერე ქალმა უამბო ყველაფერი. გააცოცხლეს ბადრიც, უსუპიც და წავიდნენ სახლში.

ნეტავი ძმათა მრავალთა, ცხარე მზე ამოუხდება,
ვერცა ვინ დიაცს წაართმის, ვერც ვინ შინ შემოუხდება.

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაიტანა,
ბევრ დევს უტირა დედა, ბევრს აურია ქამ-კარი, ბევრგან
შეაცოტავა მათი დამპყრობელნი ოჯახნი; ბევრი
გველეშაპიც გამოასალმა ქვეყანას.
ამირანს თავის მოშურევი აღარავინ ეგონა ქვეყანაზე.
ამირანმა იძმო ფალავანდი ჩრდილავერი:

ამირან და ჩრდილავერი ერთად ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილავერი უწყობს პირსა,
ბერი კაცი ჩაჩანაკი მოაგელვებს შავსა ვირსა.

ამირანი მიხვდება რომ ეს ვირი დევია და ბერიკაცს
ცოლ-შვილს შეუჭამს, დევს მოკლავს ამირანი. შემდეგ
ჩრდილავერს გამოეთხოვა და სიარსამელთან
ერთად ბალხეთს წავიდა.





გზად მიმავალმან დაინახა, იმის მტერი ამბრი მომკვდარიყო,
იდო ურემზე და თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ძლივს სძრავდა;
მკვდარ ამბრს დედა ედგა გვერდზე და მისდევდა შვილს.
ამბრის ბარკალი მიწაზე მიეთრეოდა და შიპლარავდა.

ამბრი ჩაქონდა დედასა, თორმეტუღელა ხარსაო,
გადმოვარდნილიყო ბარკალი, მიწას არღვევდა მყარსაო.

ამბრის დედამ დაინახა ამირანი, იცნო, მოაგონდა თავისი
შვილის მტრის გამოცდა და დაუძახა: დარეჯანის ძევ,
შვილის ბარკალი გადმომივარდა მიწაზე,
დაბლა ეთრევა, უპატიურად ხდება, დედაშვილობას,
ასწიე, შედე ისევ ურემზედვეო!

ამბრი მასთრევავ დედასა, გირაოდ უყავ ხარები,
ამირან მაგის ზიდილსა ასო აიგდო მხარები.

ამირანი ტყუილად ებოძიწყებოდა ამბრის ბარკალს.
ძერაც ვერ უყო, მიწასაც ვერ ააცილა, თორემ
ურემზე ხომ ვერ შედო.
ამბრის დედამ შეუტია:

ა, ის ქვეყანაშიც კრულია, სადაც შენ ამირანობდი,
თავს იბურავდი ჩანქანსა, ბოლოზე ჯაჭვიანობდი!
წესი თუ იყოს დედათა, ადვილად გინადირებდი
მოგკრავდი მათრახის წვერსა, ცის გიდელ-გიდელ გაგრევდი!
ღმერთმა იცის, ჩემო ამირან, ამბრის ვერ ედარებოდი,
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში, ვერც ომში ედარებოდი,
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა, ცოცხალს რას ედარებოდი?
თუ მაგის მეტი არ იყავ, ჩემს შვილს როგორა ჰმტერობდი?!

ე, მაგის პატრონი თუ უბარებდი ამბრის მუქარას,
დარეჯანიანთ ამირანო, მაგ ლონით თუ უპირებდი ჩემს
შვილს შებმასაო!
გაწბილდა და დაღონდა ამირანი. მიწა რომ გახეთქოდა და
ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა, მზისაცა რცხვენოდა და
კაცისაცა, თავი მკვდრებში ჩაითვალა. ვინ ამირანი, ვინ
ეს ამბავი. გული ჰკლავდა:



ჯავრი და გულის ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა,
სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა,
საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები,
თუკი ამის მეტ არ ვიყავ, სამზეოს რას ვებნები?!

ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისათვის ერთი იყო,
არც კაცი იცოდა და არც სხვა რამ სულიერი. არავის არ
იკარებდა ახლოს. მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს
კიდევ სამი ალაღებული წყლის ლონე და სამი
ფერდის ზვავის ძალა და სიმარდე:

— ამირან, ძალს რომ გიმატე, მე რითი შემეცილდები,
ზღვასა შენ აქეთ დაიჭერ, ზღვას იქით გაებმები!

ახლა კი იმის მომრევი არავინ იყო. გამაგდა ამირანი.
ამის შემდეგ ცალკე ომობდა. მისი შემბმელი და გამძლე
არავინ გაჩნდა ქვეყანაზე. ერთ დროს იქამდეც მიიყვანა
საქმე, რომ დედამიწაზე სამი დევი, სამი ველური ლორი,
სამი ბუღალა დატოვა. ამირანმა გამოუტირა დევ-ვეშაპს
გვერდი, გამოუღო ძვალი და იქ ხის ჩელტი დაუდო,
ჩელტი მალე იწვება და დევ-ვეშაპისაგან ჩანთქმული მზე
კვლავ ქვეყანას ანათებს. ღმერთებმა ვერ აიტანეს ადამიანის
გაძლიერება და ცეცხლი წაართვეს. დედამიწაზე სიცივემ
დაისადგურა, ამირანმა გადაწყვიტა შებრძოლებოდა
ღმერთებს და ცეცხლი მოეტანა. ის ავიდა კავკასიის უმაღლეს
მთაზე, სადაც ღმერთთა განგებით ცეცხლი ენთო.
მოიტაცა და ადამიანს დაუმკვიდრა. ღმერთებმა გადაწყვიტეს
დაესაჯათ ამირანი. ამირანი კი ფიქრობდა: ის ჩემი
ნათლია ღმერთი, ლონე რომ მომცა, ნეტავ ერთი მაჭიდა,
მეცადა რა ვაყავი. ერთხელ ღმერთი შეხვდა ამირანს.
ამირანმა უთხრა:
— ნათლიავ, შენ ამოდენა ლონე მომეცი, რომ ქვეყანაზე
ალარავინ მიწონის და მოდის, რაც იქნება, იქნება ერთი
მეჭიდეო.
— ამირანო, ფილაფონი კაცი ხარ, მაგდენი როგორ არ იცი,
რომ ნათლიას არ უნდა ეჭიდო,— უთხრა ქრისტე ღმერთმა.
— არა, უნდა მეჭიდო,— დაიჟინა ამირანმა.— მაშ,
კარგიო,— უთხრა ღმერთმა. — მე ამ მუხის ჯოხს, ხელში
რომ მიჭირავს, დავარჭობ და თუ შენ ამოიღე, გამარჯვებული
შენ იქნებიო. — კარგი,— უთხრა ამირანმა,—მაგრამ ვგ



ჯოხი თუნდა ამომიძვრია და თუნდა არა. დაარჭო ღმერთმა ჯოხი, მივიდა ამირანი, დაეზიდა და ადვილად ამოიღო. დაარჭო კიდევ მეორედ ჯოხი ღმერთმა და ისევ ადვილად ამოიღო.

— ეჰ, რას მეთამაშები, — უთხრა ღმერთს, — თუ გინდა მეჭიდე, თუ არადა თავი დამანებე. მაშინ აიღო ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა, ისეთი ფესვები გაედგა, რომ მთელ ქვეყანასა ჰქონოდა ირგვლივ სარტყელივით შემორტყმული, იმისი წვერი კიდევ ზეცაში ყოფილიყო გართხმული. დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძვრაც ვერ უყო. მაშინ დასწყევლა ღმერთმა ამირანი და მიაჯაჭვა იმ ბოძზე. დაბმულ ამირანს ზედ თოვლყინულიანი გერგეტი და მყინვარწვერის მთა დახურა, რომ ცა და ქვეყანა ველარ ენახა და მოწყვეტილი ყოფილიყო სინათლესა და სიხარულს. მას შემდეგ იქ არის ამირანი მიჯაჭვული. დღეში ღვთისაგან ერთი პური აქვს და ერთი ხელადა ღვინო საზრდოდ — ყოველდღე ყორანი მოუტანს და დაუდგამს წინ.

თავის სიცოცხლეში ამირანმა ღმერთს ბევრჯერ აწყენინა. სამჯერ გატეხა მისი თავმდებობა. ამგვარი ქცევისათვის ღმერთმა დასაჯა იგი. ამირანს ყვავ-ყორნები ეხვევიან და გულმკერდს უკორტნიან, მისი მკერდიდან დაღვრილი სისხლი ნაკადად მოედინება და მიწაში იღინთება. ამირანთან ერთად ღმერთმა დასაჯა და დააბა ორბის შვილი ყურშაც. ყურშა ორი ნაბდომით ჯაჭვს ეწეოდა, იმდენი ჯაჭვი გაწყვიტა, რომ თითქმის გაათავა ჯაჭვები. ყურშა წლიდან წლამდე ლოკავს ამირანის ჯაჭვს. გაწყვეტაზე რომ მიიტანს, ეხსნება ამირანსაც ჩაბურული გული, იმედი მოეცემა კიდევ თავისუფლად სიარულისა, მაგრამ ამ დროს წყეული მჭედლები დაჰკრავენ კვერს დიდხუთშაბათს გრდემლსა და ჯაჭვი ისევ სქელდება, ისევ ისეთი სახარული ხდება და ისევ აშორებს სიკვდილსა და სიცოცხლეს. იქვე ახლოს უდევს თავისი მოკლე ხმალიც ამირანს, მაგრამ ვერ სწვდება, კელარცარას ის არგია. იმასაც ჟანგი და მიწა სჭამს. უპატრონობას ცალკე ისა ტირის და ცალკე ამირანი უმისობას.

შვიდ წელიწადში ერთხელ კიდევ გაეღება ამირანს საბნელის კარი, გერგეტი კიდევ უღებს კარს დაბმულ გმირს, მაგრამ ამირანი სინათლეს აღარც კი უცქერის, ქვეყანას




დანახვა მიყურებულ ტკიილებს ისევ ულეიძებს, გული ისევ
უწყლულდება... გერგეტზე ერთი გველეშაპია გაქვავებული.
ის გველეშაპი ამირანის მტერი იყო. გაეგო ამირანის დაბმა,
ჩამოსულიყო შეხაჭმელად, მაგრამ ღმერთს დაუწყევლია
ისაც და ქვად უქცევია. მას აქეთ იქა წევს ის გველეშაპი,
ისიც ღვთის რისხვას ველარსად გაქცევია; ვერც ცეცხლს
დაუწვავს და ვერც მზეს, ვერც ქარს გადაუგორებია
უფსკრულ ხევებში და ვერც ყინულის ზვავებს; არც ცას
უთვისებია და არც ქვეყანას. იმ ადგილს, სადაც
გველეშაპია, არც თოვლი ეკარება და არც ყინული. ნისლებითა
და ღრუბლებით რომ იყოს გერგეტი დაფარული, ის ადგილი
მაინც შავად გამოიყურება. წვიმაც ერიდება იმას და ნიავიც.
ჯიხვებიც კი არ შეეფარებიან იმ არემარეს თოვლ-ბუქის
დროს. ყველა გაურბის და ერიდება. ირგვლივ მარტო
წყევლაა და კრულვა, სიკვდილი და სიჩუმე.
დაბმული ამირანი ერთ მონადირეს უნახავს. ის მონადირე
თურმე გერგეტის გარშემო ხონჩხებში ნადირობდა
ჯიხვებზე. ერთ ჯიხვს ესროლა ისარი, დაჭრა, მაგრამ
დაჭრილი ჯიხვი გაექცა და შეიხიზნა ერთ ეხში. გასავალი
აღარსაით ჰქონდა თურმე. ვერც ხაით მიუდგებოდა მონადირე
და ვერც ესროდა. თუ ესროდა და მოკლავდა, მკვდარი
ჯიხვი მაინც დარჩებოდა კლდეში და ვერც ხორცით ირგებდა
და ვერც ტყავით. ამ ყოფაში არის თურმე მონადირე, და
ვერ შენიშნა, რომ მზე ჩავიდა. იქით ეცა, აქეთ ეცა,
ეძება გზა, მაგრამ ველარ იპოვა ჩამოსავალი, იქა რჩებოდა.
საბრალო მონადირე გასაჭირში იყო: თუ წავიდოდა,
გადაიჩეხებოდა სადმე, არ წავიდოდა და სიცივე მოკლავდა.
ბევრი იღონა მონადირემ და ბოლოს არჩია: ისევ გზაში
მოვკვდე აქ სიკვდილსო. ებღაუჭა ბევრი, ებღაუჭა კლდეებს,
ხან ხანჯლის წვერითა თხარა, ხან კლდეებში საფეხურები
აკეთა და იარა ასე. ერთ კლდეს მიადგა და იქ შეისვენა.
უცებ ერთი საშინელი კვნესა და გმინვა მოესმა.
მონადირე შეშინდა: ჯერ ეშმაკი და ქაჯი ეგონა, გაქცევა
გაბედა, მაგრამ გასაქცევი არა ქონდა, მერე იფიქრა:
იქნება ზვავმა ვინმე ჩამოაგდო, ან ყინულზე იყოს
შესხლეტილი და დამტვრეული. ან იქნებ ჩემსავით ვინმე
მონადირე გაჰყვა ჯიხვებს, ჯიხვებმა რქის ჯარი შეუყარეს
და დალიეს კლდეზედაო. წავალ, აბა, ერთი გავიგებ,
ვინ არის, რასა შვებაო. წავიდა მონადირე იქითკენ, საითაც









კვნესა ისმოდა და გამოქვაბულ კლდეში კი შევიდა. ნახა,
რომ ერთი უზარმაზარი, დევივით კაცი მიბმული კლდეზე
ჯაჭვით; თმა-წვერი ასხია ისეთი, რომ დაბლა ლოგინად
აქვს, ყურში ძაღლი გვერდზე უდგას და ლოკავს ჯაჭვებს.
მონადირე შეშინდა, გაქცევა მოინდომა, მაგრამ
დაჯაჭვულმა გმირმა დაუძახა: — ნუ გაიქცევი, აქ მოდი
ჩემთან. დაჯაჭვული ვარ, რას გიზამო. გაბედა მონადირემ
და მივიდა ახლოს. გმირმა უთხრა:
— მე ამირანი ვარ და ნუ შეშინდები. ამირანმა გამოართვა
მონადირეს პური, მოუჭირა ხელი და სამი წვეთი სისხლი
გამოადინა. მერე თავის პურს მოუჭირა ხელი, რძე გამოადინა
და თქვა — პურიმც ამისთანა გიცხვებოდეთო. წადი ის
ჩემი ხმალი მომაწოდე და მერე მე ვიციო. მივიდა ხმალთან
მონადირე, მოეჭიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ
ადგილიდან ვერ დაძრა. ეს დაინახა ამირანმა და ისე
დაიკვნესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი.—აქ
მოდიო,—დაუძახა ისევ ამირანმა მონადირეს,—ისე მაინც
ვერ მოათრევ, რომ მიეწყდეო? მონადირემ კიდევ ვერ
უყო ძვრა. მაშინ ამირანმა უთხრა მონადირეს: დაწექი მიწაზე,
ხელები ხმალს მოავლე, ფეხები მე მომეცი ხელში, მე შენ
დაგეზიდები, შენ—ხმალსა და იქნება მოვათრიოთო.
დაწვა მონადირე მიწაზე, მოსწია ამირანმა, მაგრამ
მონადირემ დაიწყო ყვირილი: — გავწყდი, გავწყდიო!
გაუშვა ხელი ამირანმა და დანანებით უთხრა:
— წადი და უცადე, ჯამბარა და საკიდელა მოიტანო ისე,
რომ არავინ გნახოს, თუ გნახავენ არავის უთხრა,
რადაც გინდა, და არც თავი მიიბრუნო უკანო. გამოვიდა
მონადირე, გათენებულიყო. წამოვიდა შინ, ალო
ჯამბარა-საკიდელი და გასწია ამირანისკენ. ცოლმა
დაინახა და გამოუკიდა ქმარს: — კაცო, სად მიგაქვს
ეგ ჯამბარა-საკიდელი, რად გინდაო? ჯერ თავი იმაგრა
მონადირემ, არა სცემდა ხმას და არც თავს უბრუნებდა,
როგორც ამირანმა დაარიგა, მაგრამ ცოლი არ მოეშვა
და ხმა ამოაღებინა...
მაინც წამოვიდა ამირანთან მონადირე. მივიდა იმ
ადგილას სადაც ეგულებოდა ამირანი, მაგრამ აღარსად
ამირანი იყო და აღარსად გამოქვაბული.
ისევ დაჰკეტოდა საბნელოს კარი.
ჰაი, თუ დაჰგლეჯს ჯაჭვებს ამირანი!
ჰაი, თუ მისწვდება ხმალს!





წინამდებარე წერილის მიზანი არ არის შეაფასოს ყველა ის წვლილი, რაც ამირანოლოგიისათვის გაუღიათ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს. აქ მხოლოდ მინდა გავიზიარო მხატვრის დამოკიდებულება ამირანის ეპოსისადმი. ეს დამოკიდებულება იმ მრავალრიცხოვან ნაშრომებს ემყარება, რომლებიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ ზღვა მასალის ფონზე ამირანი მინდა შევადარო უკვდავ ლევიათანს, რომლის სიგრძე სიგანეზე ფენებისა და ნალექების მრავალწყება შრეებია განლაგებული. საკმარისია ზღვიდან ამოიწიოს ლევიათანმა, ყველაფერი ეს მისი ქედიდან ძირს ეხეთქება და ჩანს ოქროს ზურგი, როგორც კავკასიონის ქედი. სადაც იშვა და პირველად დაირწა აკვანი ამირანის მითისა.

ამირანის ეპოსი დაიბადა უძველეს ხანაში და ჩვენ ეპოქამდე მოაღწია, ყველა ეპოქას თავისი წვლილი შეჰქონდა, თავისებურად ამდიდრებდა მას. ფენათა რეგულარული დალექვა დღემდე გრძელდება. „საბედნიეროდ თუ საუბედუროდ" ამ ფენების ეპოსიდან მოცილება არ შეიძლება, ვინაიდან მათ პირვანდელი ხერხემლის თაღებში დაიმკვიდრეს ადგილი.

როგორც ცნობილია, ცეცხლისა და სინათლის რიტუალის შექმნა იმ დროის ეკუთვნის, როდესაც დედამიწა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პერიოდში იყო, მიწაზე პტეროდაქტილები, დინოზავრები ბატონობდნენ; ბაზალტის ნიაღვრები ზღვასა და მიწას ერთმანეთისაგან ჰყოფდნენ. კაჟის შუბით შეიარაღებული ადამიანი პირველ ცეცხლს აჩაღებდა, „საგმირო" ამბებს გამოქვაბულის კედლებზე ხატავდა.

აგერ, ჩვენს დღეებამდე შემორჩა ხალხში: „ლაშქრობა"—სინათლის დღესასწაული; „კვირიაობა-ლილეობა" — მზის დღესასწაული; „ჭიჭილობა-ჭიაკოკონობა"—ცეცხლის დღესასწაული.

ალბათ „ლეშერთა სამყაროდან" — ვულკანიდან ცეცხლის წამოტანა [illegible] გმირობად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ამირანის „მოქმედება", დასაბამიდან, თავისი საკაცობრიო იდეალებით, ყველა ეპოქას მოერგო, რაც ნათლად მოჩანს მისი პერიოდული დანალექებიდან. უმთავრესი კი პირველყოფილ საწყისიდან იღებს სათავეს.

იყო დრო — ბერძენი, არაბი და რომაელი დამპყრობნი თავისი კოლონიებიდან ეზიდებოდნენ: თაფლის მოყვარულნი — თაფლს, ოქროს მოყვარულნი — ოქროს, მაგრამ ლეგენდებისა და ზღაპრების მოყვარულთ არ უნდოდათ არც თაფლი, არც ოქრო, მათ მი-

ჰქონდათ უცხო ძვირფასი რამ—ხალხის სულიერი მონაპოვარი და ისაკუთრებდნენ. ამის მაგალითები ბევრია: პირისაგან მიწისა აღიგვნენ ეტრუსკები, ურარტუელები, ხეთები, მათი სულიერი მონაპოვარი მისულმა ხალხებმა მიიტაცეს. ასევე წინამორბედები ჰყავდათ ბერძნებს, რომელთა ლეგენდა-მითები „ახალმოსულთა" მითებში გადაიზარდა.

საყურადღებოა, რომ ბერძნული და რომაული ფანჯრიდან მრავალი ხალხის სულიერმა თუ ნივთობრივმა საგანმა გაიხედა ევროპაში. დღეს კი, როცა არქეოლოგიამ თავისი სიტყვა თქვა — დიდი სიფრთხილით და სიფაქიზით გამოჰყო ერთმანეთისაგან: ეგვიპტური—არაბულისაგან, ეტრუსკული—რომაულისაგან, სპარსული—მიდიურისაგან,—თანდათან ითიშება მრავალი აღრევა, რაც კაცობრიობის ბედუკუღმართობამ ქაოსურ სოდომ-გომორად აქცია. შესაძლებელია ასეთი გზით გახდა პრომეთეოსის მითი ესქილეს ქმნილების საფუძველი, მან აამღერა იგი და პოეტური ენით მთელ კაცობრიობას აცნო. ამირანის ეპოსმა მისი უკან დაბრუნება „დაიმორცხვა", როგორც გათხოვილი ასულის შინ დაბრუნებას დაიმორცხვებს დედა-მშობელი, მაგრამ მისი გენური ნათესაობა პირვანდელი ფორმით შეინარჩუნა.

ჩვენი მეცნიერების უანგარო შრომით ამირანოლოგიამ დიდად წაიწია წინ. შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე ზღვის მეორე კიდეზე გარიყული გიგანტური ნავი, რომელმაც ესქილეს წყალობით ქვეყანა მოიარა და სასწაულები მოახდინა, თავის ნამდვილ ხერხემალს მოერგო.

დიდი მწვერვალები ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ მათი ძირები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამირანი, პრომეთე, ჰერაკლე, აპოლონი, აქილევსი, სამსონი, წმინდა გიორგი, სეგზელდი... წმინდა გიორგის ბრძოლა დრაკონთან ისე ჰგავს ამირანის გველეშაპთან ბრძოლას, როგორც სამსონის ლომთან ბრძოლა—ჰერაკლეს ხართან ბრძოლას. ახალდაბადებული ჰერაკლე ორ გველს აშრობს, ამირანი კი გადმოდის ოქროს აკვნიდან და იამანის მეწყლურებს, რომლებიც მას დასცინიან, თავებს მიახეთქებინებს ერთმანეთზე. თითოეული ამ გმირის დამოკიდებულება ბუნების ძალებთან თავისი მნიშვნელობით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ არის სხვა ნიშნები, რომლებიც გმირებს უცხო ანათესავებს.

ამირანის სუსტი ადგილია ნეკათითი, ყამარის მამის კეკლუცა ქისრის — წვივის რბილი კუნთი. ბევრ ქართულ ზღაპარში შეხვდებით ასეთ სუსტ ადგილებს: სამი ღერი ოქროსთმა... და სხვა



მრავალი. აქილევსსაც აქვს ასეთი სუსტი ადგილი — ქუსლი, რომელსაც ყრმის განბანისას ზღვის წყალი არ შეხებია.

გაიხსენეთ, რას ურჩევს ყამარი ამირანს, რომ მამამისი — დაამარცხოს: „მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა, დავარდებიან ძარღვები, დაეცემიან ძირისა". ეს ნიშნები ისე აახლოებს გმირებს ერთმანეთთან, თითქოს ერთი უზენაესი ანათლავდა მათ ამ თვისებებს, რის გამოც თითქმის დასაჯერებელია იმ მოსაზრების სიმართლე, რომელიც აქილევსს მიაკუთვნებს იმ ხალხს, ბერძნების მოსვლამდე რომ ბინადრობდა ელადის მიწაზე. თავსატეხი არ არის, რატომ ჰგვანან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის გმირები თავისი ძლიერი თუ სუსტი ადგილებით, თავსატეხი ესაა: ვინ იყო ის ხალხი, რომლის ჩამომავალიც აქილევსია?

აქვე მინდა დავუმატო ერთი საგულისხმო შედარება: როგორც ცნობილია, ა ნ ა ი ტ ი არის სპარსული გამანაყოფიერებელი წყლების ღვთაება (მითოლოგიური ლექსიკონი), რომელსაც აიგივებენ დიდ დედასთან—არტემიდესთან. ანაიტის კულტი გავრცელებული იყო მცირე აზიაში, საბერძნეთში და რომში. ღვთაება ა ნ ი ჰყავდათ ეტრუსკებსაც, მას იგივე თვისებები ახასიათებს, რაც დროისა და საწყისის ღვთაებას ი ა ნ უ ს ს. ეტრუსკების ა ნ ი ორსახოვანია, როგორც იანუსი, ზოგჯერ კი ოთხსახოვანიც. არტემიდეს ზოგიერთი თვისება ისევე ჰგავს იანუსის თვისებებს, როგორც ეტრუსკების ა ნ ი — იანუსს, ხოლო ერთად კი — ა ნ ა ი ტ ს. ეს ღმერთები თავისი „ღვთიური" მნიშვნელობით ითვლებიან წყლის, მზის და სინათლის ღმერთებად.

ახლა კი ამ თვალსაზრისით ამირანს მივმართოთ: „ანი დაგვემრეს წყარონი, ანი დაგვიტკბდეს კოკანი, ანი დაუტკბეს მერწყულნი",—ეუბნება იამანი ანის (რაჭული ვერსია). ი ა მ ა ნ ი აქ წყალთა ღვთაებად წარმოგვიდგება, ა ნ ი კი ქალღვთაებად. აქედან გამომდინარე იქნება ა ნ ი და ი ა მ ა ნ ი ამ პირვანდელ ღმერთთა გალერეას მიეკუთვნება, რომლებიც იწამეს მცირე აზიის, საბერძნეთის, იტალია-ეტრურიის მრავალრიცხოვანმა ტომებმა, რომელთა ჩამოყალიბებაში ქართველთა შორეული წინაპრებიც მონაწილეობდნენ?..

იქნება ამ მიმართულებით კვლევამ ახალი სიურპრიზები წარმოაჩინოს?..

ადრეულ საუკუნეებში მთლიანი ლაშქრის გამარჯვება თუ დამარცხება ზეციურთა სახელით აღინიშნებოდა. ამის მაგალითები ბევრია: „სპარტაკის აჯანყება", „სიმღერა როლანდზე", „რაზმ-

სის მიერ ხათუბას დამარცხება“, „თამარ მეფის გამარჯვება“ და სხვა მრავალი. თქმა—„ამა და ამ მეფემ გაიმარჯვა“. შემდგომ საუკუნეებში გამოსწორდა და ხალხის მონაწილეობაც აღინიშნებოდა ამა თუ იმ ომში. საქართველოში მიღებული იყო თქმა: „ქუდზე კაცი“, რაც ხალხს ნიშნავდა. ბადრის, უსიპის და ამირანის გვერდით უნდა ვიგულისხმოთ ხალხები, რომლებიც იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ტომთა ერთიანი ჩამოყალიბებისათვის. ამირანის ეპოსში სახალხო ლაშქარზე ხშირად არის ლაპარაკი: „ამბრნიუშბრნი და არაბნი“, ან: „ყამარის მამის ლაშქარი ქაჯეთისა და ეშმაკებისაგან შესდგებოდა“...

როგორც მრავალი მაგალითი გვიმოწმებს, ტოტემიზმი ახასიათებდა კავკასიის ხალხებს, კერძოდ — ქართველურ ტომებს. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიშველიოთ ცხოველთა სახელები, რომლებიც ქართულ გვართა ჩამოყალიბებას დაედო სათავედ. ესენია: ხარი, დათვი, მგელი, შველი, ირემი, ვეშაპი, მელია, გველი. ტოტემები ტომთა დროშებზე გამოისახებოდა. ძლიერი დროშები იერთებდნენ სუსტ დროშებს — ამის ნიშანი უნდა იყოს სვანეთში დღემდე შემორჩენილი დროშები: ლ ე მ ი, მ გ ე ლ ი, ან კუთხის მისახელება: დათვისანები, ლომისანები, გველისანები, ყორნისანები, ხარისანები... „ქართულ ყოფაში პატივისცემა ხარისადმი მიგვანიშნებს ხარის კულტს, შესაბამისად, ხარის ტოტემსაც“ (თამარ ოქრომჩეძე).

გარდა ტომობრივი ტოტემისა, უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური ტოტემებიც, რასაც შეიძლება მივაკუთვნოთ სამთა ძმათა ცალკეული ნიშნები: ამირანი მზე ღრუბელს ჰგავს, მუცელმზიანია. ბადრი ლამაზ ქალს ჰგავს და ორ ბეჭს შუა მთვარე ახატია. უსიპი ბროლის ციხეს ჰგავს და ბეჭებს შუა მზე ახატია.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელი ხომ არაა, რომ როცა სამი ძმის გველეშაპებთან ბრძოლას ვიხილავთ და მათ სამ ფერზე გვაქვს საუბარი, ეს უნდა იყოს კავკასიის კალთებზე მოსულ უცხო ტომთა ტოტემური ნიშნები. გ ვ ე ლ ე შ ა პ ე ბ ი — მათი ალეგორიული გამოსახვა.

ვინ არიან დევები, რომლებმაც ასე ღრმა კვალი დატოვეს ქართულ ზღაპრებსა და მითებში? აბორიგენები თუ მოძალადე დამპყრობნი? ადამიანის ფანტაზიის ნაყოფნი თუ რეალური ხალხი? ამირანის ეპოსი გვიდასტურებს: დევები თავს ესხმიან ადამიანებს, ცოლად მიჰყავთ მათი ქალები და პირიქით. აქვთ სასახლეები და აურაცხელი სიმდიდრე. სვამენ ღვინოს, იხდიან ქორწილებს. აქვთ ვაშლის ბაღები, ჰყავთ ცხვრის ფარები, ხორცს ხარშავენ. ურნ



დებს აბამენ. იტაცებენ ბავშვებს. მათი გარეგნული სახე გაბუნდოვნებულია: სამთავიანი... თორმეტთავიანი... ლომილობა და დევობილობა იციან. როგორც გველეშაპები, დევებიც სამი ფერის არიან: თეთრი, შავი, წითელი. ალბათ ისეთი გრანდიოზული დევი არსად არ არის აღწერილი, როგორც ამირანის სვანურ ვერსიაში: მის მუცელში თავისუფლად თავსდება მზე და თვით ამირანი. მიუხედავად ამისა, ისინი მიამიტები არიან; ბაყბაყდევი კლასიკური ფიგურაა დევიანთა მოდგმისა. ყველა ამ ნიშნით დევიანები განყენებულ ხალხის კასტას უნდა მივაკუთვნოთ. დევებისა და ადამიანების ურთიერთობაზე მრავალი ხალხური ლექსი და მითი მოგვეპოვება. თუ ადამიანთა ძლიერება ერთობაშია, დევიანთა — ინდივიდუალურია. საკითხი მაინც ღიად რჩება: ვინ იყვნენ დევები? ხომ არაფერი კავშირი აქვთ დევებს ნეანდერტალელებთან, პითეკანტროპებთან? სად გაქრა დევიანთა მოდგმის ანთროპოლოგიური ნიშნები?

დიდ გველეშაპს დიდი გმირი კლავს. დიდ ოქროს დიდი სასწორი უნდა — ამირანი სიკეთით სავსე გმირია. მისი პირიდან რძე ქონავს; ღმერთკაცს ძალას ღმერთი უმატებს. ამირანი „ღმერთის უყვარდა ციდან ჩამოუსვა რქა, იალბუზზე ფეხი შესდგა დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...“ მაგრამ, როგორც კი შეატყობს, რომ ამირანი მის ტანჯვას უძლიერდება, სამუდამოდ მიაჯაჭვავს ჯაჭვის მთელი დედამიწის გულში ფესვებგადგმულ მუხაზე. ხელ კი კავკასიონის ქედს გადააწვენს.

რაოდენ დიდია ამირანის გულისტკივილი, როდესაც ხმალს ვერ სწვდება... მხოლოდ ეს კია, მჭედელთა სახოგადოებას ჯნუმბა — ეს არის მისი ფილოსოფიური განჭვრეტა: მჭედლების სახით სწრაფად განვითარებულმა ტექნიკამ ბოროტმოქმედთა ხელში უბედურება არ მოუტანოს ადამიანებს! თუ ეს ასე არის, მაშინ ამ „ბოროტებას“ წინ აღუდგება თვით ამირანი — მშვიდობისმოყვარე, კაცობრიობის ენერგიაში გადასული.

ამირანის ეპოსი ისეთი სახალხო ნაწარმოებია, რომელიც ყოველთვის ბევრს გასცემს და არაფერსაც არ დაკარგავს. საქართველოს ყველა კუთხეში ზეპირად იციან მისი ცალკეული ეპიზოდები. ზეპირმთქმელთა უბადლო ნიჭის წყალობით შემოგვრჩა ეს დიდებული ეპოსი. მათივე ფანტაზიის ნაყოფია სხვადასხვა ეპოქის დანალექები. ზეპირმთქმელთა „მოწოდება“ ქაღალდმა და კალამმა შეასრულა. შეაჩერა და იქცევა სამუდამოდ... მათი გულით ნატარები ამირანის ეპოსი სამუდამოდ გადასახლდა ქაღალდის ფურცლებზე.

თავის დროზე ამირანის ეპოსმა აღაფრთოვანა ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი. ფასდაუდებელი წვლილი

დასდეს ამირანის ტექსტების შეკრება-გამოცემას ბევრმა ფოლკლორისტებმა. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ამ მხრივ პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა. მის ნაშრომებში თავმოყრილია და გაშიფრული ამირანის ეპოსის „ოქროს ნაფლეთები", საიდანაც თვალნათლივ გამოირჩევა შემდეგი ვერსიები: ფშაური (ჩაწერილი ლევი რაზიკაშვილის მიერ 1899 წ.), ქართლური (მთქმელი ვანო ხინჩალაძე 1887 წ.), რაჭული (მთქმელები: გაბრიელ ბაკურაძე, მალაქია ბერიშვილი, იასონ ბიჭიაშვილი; ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1953 წ.) და სვანური (ჩაწერილი ბესარიონ ნიჟარაძის მიერ; დაიბეჭდა 1887 წელს გაზეთ „ივერიაში").

ვფიქრობ ამირანის ვარიანტებიდან ყველაზე საინტერესო სვანური, ფშაური, ქართლური და რაჭული ვერსიებია. აი, რა მოსაზრებით: სვანურში ამირანის დაბადებაა აღწერილი, ფშაურში — მისი ბავშვობა და გმირობა. ფშაურის ანალოგიაა ქართლური და რაჭული; რაჭული ამავე დროს ახლოს დგას სვანურთან. თითოეულმა მათგანმა ცალ-ცალკე შემოგვინახა „ღვთიური" ნაწილები: ფშაურმა — უძველესი გამართული ლექსწყობა, ქართლურმა — ამირანის რძიანი პური, რაჭულმა — ოქროს აკვანი (შეადარეთ ბაზალეთის ტბის ლეგენდა), სვანურმა — ამირანის დედა — ოქროსთმიანი დალი და ამირანის მიერ დევ-ვეშაპის მუცლიდან მზის განთავისუფლება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვერსია მოგვაგონებს თვითნაბად ოქროს ზოდებს, რომელთა ერთმანეთში დაკავშირებამ ცხადყო ამირანის ეპოსის გრანდიოზულობა.

და თუ როგორ არის ეს ზოდები ერთმანეთთან შერწყმული, მკითხველმა განსაჯოს. დაე, შემთხვევით დარჩენილ ბზართა შედუღება შემდგომმა გამოცემებმა იზეიმონ.

ვახტანგ ორიანი

ИЛЛЮСТРАЦИИ


12 Закаление сабли Амирана.

13 Чудовище проглотило солнце. Амиран его убил и освободил солнце.

16—17 Охотник Сулкалмахи поднялся в пещеру, где из живота Дали вытащил Амирана с «солнечным лбом».

20—21 Охотник усадил Амирана у родника Иамана. Иамани побратал Амирана со своими сыновьями.

24—25 Братья начали охоту. Во время охоты им встретился олень с золотыми рогами.

28—29 Олень повел братьев в хрустальную башню. В башне покоился умерший Цамцумия.

32—33 Братья встретили чудовище. Амиран убил чудовище. Чудовище указал Амирану путь к башне дочери небес Камари.

36—37 Вышедшие из горла чудовища три червяка превратились в драконов. Амирана проглотил черный дракон. При помощи братьев Амиран освободился из его живота.

40—41 С небес Амиран похитил Камари и опустил ее на землю.

44—45 Амирана догнал отец Камари и между ними началась борьба. В этой борьбе у Амирана погибли братья, а Амиран покончил с собой, но Камари оживила братьев.

48—49 Амиран подошел к дворцу девяти братьев-чудовищ. Ему встретилась женщина-чудовище.

52—53 Амиран принес людям огонь, победил множество чудовищ и драконов и сражался с богом.

56—57 Бог наказал Амирана, приковал его к дубу, накрыл ледяной вершиной и вороны клюют его тело.


ILLUSTRATION.


12 The tempering Amirany's sword.

13 Giant-dragon swallowed the sun. Amirany killed it and set free the sun.

16—17 The hunter Sulkalmakhe climbed up to the cave where he took „sunny-forehead" Amirany out of Daly's stomach.

20—21 The hunter set Amirany down on the Iamany's spring. Iamany adopted Amirany.

24—25 The brothers began hunting. While hunting turned up a deer with golden antlers.

28—29 Deer led the brothers to the crystal tower, where lay the dead hero Tsamtsumy.

32—33 The brothers met the giant. Amirany killed the giant. Giant told Amirany where Kamary's tower was.

36—37 The three worms which crept out of giant's throat turned into dragons. The black dragon swallowed Amirany. The brothers helped Amirany and he set free himself of dragon's belly.

40—41 Amirany abducts Kamary from the heaven and brought her to the ground.

44—45 Kamary's father caught up with Amirany and gave battle. In this battle Amirany's brothers were killed. Amirany killed himself, but Kamary revived the brothers.

48—49 Amirany came up to the nine brother giants' palace. He met here with giant's woman. Amirany killed the giants.

52—53 Amirany brought a fire to people. Amirany defeated many giants, dragons and gave battle to god.

56—57 God punished Amirany, tied to the oak and covered him with the mountain "Mkinvartsvery". The crows peck his breast.